



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი)
პროგრამის ხელმძღვანელი	ავილირებელი პროფ. დოქტ. ავთანდილ გაგნიძე; მობილური: +995 597 999 554; ელ. ფოსტა: agagnidze@ibsu.edu.ge
სწავლების საფეხური	მაგისტრატურა (უმაღლესი განათლების II საფეხური)
სწავლების ენა	ინგლისური
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური
კრედიტების რაოდენობა	120 ECTS კრედიტი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში / Master of Business Administration in Management
დაშვების წინაპირობები	<p>სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად - საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე).</p> <p>სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. გარდა ამისა, პროგრამაზე სწავლის მსურველმა უნდა ჩააბაროს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში და ინგლისურ ენაში (B2 დონე).</p> <p>ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისგან თავისუფლდებიან პირები, რომელთაც ბოლო სამი წლის განმავლობაში აქვთ დამთავრებული ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა და ამ პროგრამის ფარგლებში მათი ნიშნების საშუალო (GPA) არის სულ მცირე 75 (100-დან) ან 3 (4-დან), ან არის იმ ქვეყნის მოქალაქე, სადაც პირველი/მეორე ოფიციალური ენა არის ინგლისური, ან აქვთ უცხო ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი.</p>
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<p>მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის მიზანია ბიზნესის მართვის თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. პროგრამის ამოცანას წარმოადგენს მოამზადოს სპეციალისტები, რომელთაც ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა ბიზნესის მართვის სფეროებში. მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა გარდა თეორიული კურსებისა, მოიცავს ინტერაქტიურ სემინარებსა და ტრენინგს, პრეზენტაციებსა და ჯგუფურ მუშაობას, რის შედეგადაც მაგისტრს გაუადვილდება როგორც ბიზნესის მართვის სფეროში არსებული თეორიული პრობლემების ანალიზი, ისე რეალურ ბიზნეს-სიტუაციებში გარკვევა და მათი მართვა. სწავლების პროცესში გათვალისწინებულია სტუდენტების მისწრაფებები და</p>

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>სურვილები, ბიზნესის და ინდუსტრიის განვითარების საერთაშორისო ტენდენციები და ჩვენი ქვეყნის სპეციფიკა.</p> <p>პროგრამის ამოცანაა მაქსიმალურად დაუახლოვოს სტუდენტი პრაქტიკას, როგორც საჯარო და კერძო სექტორის ორგანიზაციებში სტაჟირებებით, ასევე პროფესიულ წრეებთან აქტიური თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმების გამოყენებით. ამ მიზნით პროგრამაში სხვა ღონისძიებებთან ერთად გათვალისწინებულია ურთიერთობები ბიზნესის სექტორის წარმომადგენლებთან, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.</p>
<p>სწავლის შედეგები</p>	<p>ცოდნა და გაცნობიერება</p> <p>კურსდამთავრებულმა იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ბიზნესის და ეკონომიკის მართვის თანამედროვე კონცეფციები და მეთოდები; რაოდენობრივი ანალიზის და შეფასების, გადაწყვეტილების მიღების პრინციპები და მეთოდები. ✓ ბიზნესის კვლევის თანამედროვე თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდები. ✓ ბიზნეს სტრატეგიის შემუშავების და განხორციელების ამომწურავი და კომპლექსური მიდგომები; ✓ ბიზნესის მართვასთან დაკავშირებული ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების მეთოდები; ✓ ბიზნესის ფინანსების აღრიცხვის, მართვის და კონტროლის ეფექტიანი მეთოდები ✓ მენეჯმენტის თანამედროვე პარადიგმები ლოკალურ თუ საერთაშორისო ბაზრებზე. <p>კურსდამთავრებული აცნობიერებს:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ბიზნესის ადმინისტრირების როლს ბიზნესის მართვაში; ანალიზის და მენეჯმენტის როლს ბიზნესის განვითარებაში; ✓ მისი როგორც ბიზნესის სტრატეგიის შემმუშავებლის როლს და მნიშვნელობას ორგანიზაციაში; ✓ კვლევის ჩატარების უახლესი მეთოდების და გაანალიზების სისტემური მიდგომების მნიშვნელობას კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად. <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p> <p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ მენეჯმენტის სფეროსთან დაკავშირებული საკითხების გააზრება და ანალიზის ჩატარება; ✓ სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება, დამუშავება და შედეგად მიღებული ინფორმაციის სიტუაციების

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ბიზნესის მემოქმენტის, ბიზნესის შეფასების და ანალიზის მეთოდების გამოყენება პრაქტიკული ბიზნესის განვითარების შეფასებაში და დაგეგმვაში; ✓ ბიზნეს გეგმის როლის აღწერა კორპორაციული ხედვის ეფექტიანობის დასაბუთებაში; არსებულ პრობლემათა გადაწყვეტის ღონისძიებათა შემუშავება და მათი პრაქტიკული განხორციელება; ✓ ბიზნეს რისკების გონივრული მართვა, თეორიული კონცეფციების პროფესიულ საქმიანობაში გადატანა და საბიუჯეტო შემოსავლების დაგეგმვა. ✓ კონკრეტული ბიზნეს პროექტის დაგეგმვა და მისი განხორციელება სხვადასხვა სახის რისკების გათვალისწინებით <p>დასკვნის უნარი</p> <p>კურსდამთავრებულს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ბიზნესის მართვის სფეროში საკვანძო პრობლემების გამოყოფის და მათი გადაჭრის გზების ჩამოყალიბების უნარი; ✓ ბიზნესის მართვის სფეროში არსებული პრობლემების ამოცნობისა და მათი კრიტიკული ანალიზის საფუძველზე და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი; ✓ ლიტერატურული წყაროებისა და პრაქტიკული მონაცემების ანალიზის გზით დასაბუთებული დასკვნების შემუშავების უნარი; ✓ პროექტების შედგენისა და შესრულების პროცესში წარმოშობილი პრობლემების ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი; ✓ მართვის სფეროში არსებული პრობლემატიკისა და ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით <p>კომუნიკაციის უნარი</p> <p>კურსდამთავრებულს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადებისა და მისი პრეზენტაციის უნარი; ✓ ბიზნესის მართვის სფეროში საკუთარი დასკვნების ჩამოყალიბების, პროფესიულ და აკადემიურ საზოგადოებასთან მათი წარდგენის უნარი წერილობით და ზეპირად; ✓ დებატებში მონაწილეობის, არგუმენტირებული არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების წარმოდგენის უნარი; ✓ იდეებისა და ინფორმაციის ლოგიკური თანმიმდევრობით გადაცემის უნარი სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისთვის,
--	---

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>პროფესიული და აკადემიური საზოგადოებისათვის უახლესი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ უცხოურენოვანი ლიტერატურისა და სხვა საინფორმაციო რესურსების მოძიების, გაგებისა და გადმოცემის უნარი <p>სწავლის უნარი</p> <p>კურსდამთავრებულს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ სწავლის დამოუკიდებლად დაგეგმვის და წარმართვის უნარი; ✓ სწავლის პროცესის სპეციფიკის გააზრების და მისი სტრატეგიულად დაგეგმვის უნარი; ✓ ქართულ და უცხოენოვან სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურასთან დამოუკიდებლად მუშაობის უნარი; ✓ ცოდნის რეგულარულად განახლების უნარი დარგობრივი ლიტერატურის კითხვით; ✓ სწავლის შემდგომი გაგრძელების უნარი. <p>ღირებულებები</p> <p>კურსდამთავრებულს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ზოგადად ბიზნესის და უშუალოდ მენეჯმენტის სფეროში არსებული ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასების უნარი; ✓ ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარი; ✓ ბიზნესის ეთიკური ნორმების პატივისცემა და მათი დაცვის უნარი; ✓ პროფესიული ეთიკის ნორმების, აკადემიური პატიოსნებისა და სტანდარტების დაცვი უნარი.
<p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</p>	<p>შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.</p> <p>სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.</p> <p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას</p> <ol style="list-style-type: none"> 1) (A) ფრიადი – შეფასების 91 - 100 ქულა; 2) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა;

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>3) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა;</p> <p>4) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61 - 70 ქულა;</p> <p>5) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.</p> <p>ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას</p> <p>1) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>2) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.</p> <p>შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.</p> <p>კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:</p> <p>ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;</p> <p>ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.</p> <p>დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.</p> <p>შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის/კვლევითი კომპონენტის/პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.</p>
--	--

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

საჯარო დაცვაზე სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმებით:			
№	კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულა კრიტერიუმების მიხედვით	მინიჭებული ქულა
1	აქტუალობა	10	
2	კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა	10	
3	კვლევის თეორიული მნიშვნელობა	10	
4	სიახლე	10	
5	საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმე და დასკვნების ორიგინალობა	15	
6	კვლევის შედეგების დამაჯერებლობა (ექსპერიმენტის /მონაცემების სტატისტიკური დამუშავება, მსჯელობა)	5	
7	დაცვისას მასალის პრეზენტაცია (ლოგიკური მსჯელობა, პრეზენტაციის სტრუქტურა, მკაფიო მეტყველება, ნაშრომის ძირითადი დებულებების წარმოდგენა)	15	
8	დაცვის პროცესში კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა, საკუთარი პოზიციის დასაბუთება, ტერმინოლოგიის ფლობა	15	

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>9 დაცვისას გამოყენებული თვალსაჩინოების ეფექტურობა</p>	<p>10</p>	
	<p>სულ</p>	<p>100</p>	
	<p>საბოლოო შეფასება</p>		
<p>დასაქმების სფერო</p>	<p>მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, კურსდამთავრებულს საშუალება ექნება დასაქმდეს სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში, ასევე, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციაში, სხვადასხვა პროფილის ფონდში, არასამთავრობო ორგანიზაციაში და ა.შ.</p> <p>ბისნესის ადმინისტრირების მაგისტრს მენეჯმენტში შეუძლია იმუშაოს ბიზნესის მართვის ყველა რგოლში. კურსდამთავრებული შეძლებს დაიკავოს მაღალი დონის სამენეჯერო პოზიციები როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში, საკონსულტაციო ფირმებში, ერთობლივ საწარმოებში და ა.შ.</p> <p>მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს არა მხოლოდ მენეჯმენტის, არამედ ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფართო პროფილით, შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით.</p>		